საქართ. შემარცხენელ სოც.-დემოკრატიულ სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 283

ოთხშაბათი აგვისტოს 30 1922 წ.

ფასი 50 ს. მან. — პროვინც. 6000 მან.

ტფილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული შრომისა და ტვირთზიდვის

ხარკის გამცარებელი კომისია ტფილისში

ამით აცხადებს, რომ ის პირები,

ვინც ვალდებული არიან გადაიხადონ შრომისა და ტვირთზიდვის ხარკი, იხდიან,

თანახმად № 6 სავალდებულო დადგენილებისა, 5 მანეთის (ოქროთი) მაგივრად 475,000 მანეთს, 10 მანეთის მაგივრად 950,000 მანეთს და 12 მანეთის მაგივრად 1,140,000 მანეთს.

ხსენებული განაწევრი დადგენილია ამა წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე.

3—2 პასუხისმგებელი მდივანი და წევრი კომისიის ა. **ბუხაძე.**

ტფილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ პარასკევს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მირზოევის აბანოს შეკეთებისა.

4—2

ქართული ჯარი

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ქართული ჯარის საკითხი უნდა დასმულიყო დღის წესრიგში.

საბჭოთა ქვეყნების წინაში, როგორი პირობებიც არ უნდა შეიქნეს საერთაშორისო პოლიტიკაში, ყოველთვის იქნება საფრთხე იმპერიალისტური ავანტიურის, რომელიც შეეცდება მშრომელთა ძალა-უფლების განადგურებას. ამიტომ საბჭოთა ქვეყნებმა, მართალია თოფი კუთხეში ჩამოკიდა და სამეურნეო ფრონტზედ მიმართა მთელი თავისი ძალი და ღონე, მაგრამ ცალი თვალი ისევ თოფისაკენ უჭირავს და აფრთხილებს ყოველ თავხედს, რომ საბჭოთა ქვეყნებთან მტრული ურთიერთობა არც ისე ადვილი საქმეა.

ეს მდგომარეობა ბუნებრივია. გართულებულ კლასობრივი ბრძოლის პროცესში მშრომელთა ხელისუფლებამ უნდა შექმნას თავისი ძალა-უფლების დასაყრდენი, რევოლიუციონური ჯარი. ამ შემთხვევაში უტოპიური სანტიმენტალიზმი და პაციფისტური სულისკვეთება მიუღებელია.

ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულია ევროპიული კაპიტალიზმის ეპოლოგეტნი, რომელნიც თავიდან ფეხებამდე იარაღში არიან ჩამსხდარნი და ფანტასტიური მიღწევებით ანვითარებენ ადამიანის სიცოცხლის განმანადგურებელ საშუალებებს.

რევოლიუციონირი ქვეყნები არ არიან მილიტარიზმისა და მარინიზმის ბუდენი, მაგრამ ისინი არიან ამის წინააღმდეგ მებრძოლნი და ამდენათვე იძულებული ხდებიან ბრძოლის პროცესში თანაბარ იარაღებს ეხმიკიდონ ხელი. რევოლიუციონური ომი, ომია ყოველივე ომის წინააღმდეგ და რამდენათაც მტკიცეა და მკვეთრი რევოლიუციონური ჯარი, იმდენათ იგი თავდებია გამარჯვების.

ბარიკადული ბრძოლის მეთოდები, რომლითაც ხელმძღვანელობდენ წინანდელი რევოლიუციონერები, დღეს გამოუსადეგარია, რადგან ბარიკადი ვერ უძლებს თანამედროვე მსროლელ იარაღებს. მაშასადამე ჯარი აუცილებელია რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

ჩვენში ჯარის საკითხი განსაკუთრებულ პირობებში არის დასმული. საბჭოთა წყობილების დამყარება გარეშე ძალის დახმარებით მოხდა და ხელისუფლებისათვის მკისვე უნდა დასმულიყო საკითხი ადგილობრივი ჯარის შექმნის. როგორც ვიცით, დღემდე ვერ მოხერხდა ქართული ჯარის ისეთი რაოდენობით შედგენა, რომ რუსეთის რევოლიუციონური ჯარი, რომელიც სტუმარია ჩვენში, გაგვანთავისუფლებია თავის მძიმე მოვალეობისაგან.

ამას აქვს არა მარტო ძალის შეცვლის ხასიათი, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. საბჭოების მოწვევით და საახელმწიფოს ნორმალურ კალაპოტში ჩადგომით საფუძველი უნდა ჩაყროდა ქართველ ჯარსაც, რომელიც მკვიდრი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო მშრომელთა ხელისუფლების. უცხო ძალის მუდმივი დარჩენა ჩვენს ქვეყანაში ანორმალურ ხასიათს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და ქმნის საეჭვოს პირობებს მემარჯვენე პარტიების დემაგოგიისათვის.

მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ჯარის შედგენის საქმეში დღემდე ვერ გამოგვიჩენია სათანადო უნარი და ვერ შეგვიკნია ძლიერი ქართული ჯარი, რაც დაანახვებდა მტერსა და მოყვარეს, რომ საქართველოში ქართველი მუშა და გლეხი ბატონობს და არავისგან დამოკიდებული არ არის.

ჩვენ ვამბობთ, რომ ქართული ჯარის შედგენის კვლავ დაყოვნება ყოველად მიუღებელი მოვლენაა. სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰყავდეს საკმაო ძალა საშინაო საფრთხისაგან თავდასაცავად და იგი საჭიროების დროს ხელს უნდა აწვდიდეს საბჭოთა ქვეყნების სამხედრო ძალას საგარეო საფრთხის დროს.

დღეს კი ამ მწვავე ბრძოლების პროცესში მოგვიწევია რუსეთის წითელი ჯარი და სხვისი ხელებით გვსურს საკუთარი საქმის კეთება.

ამას ვერ გაამართლებს ვერც სახელმწიფოებრივი და ვერც რევოლიუციონური მოსაზრება.

საჭიროა ეს საკითხი საკითხად აღარ იდგეს და ქართველი ძლიერი ჯარის შედგენისათვის მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები.

ნარკვევი

ამერიკის საგარეო ვაჭრობა.

„ეკონომიური ცხოვრება“ (№ 374) ეხება ამერიკის ვაჭრობასა და სწერს:

„ამერიკის შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობა ამ უკანასკნელ თვეებში განიცდის მნიშვნელოვან გამოცოცხლებას, მაგრამ 1921 წ. კრიტიკულ მდგომარეობასთან შედარებითაც კი უკან სდგას. შედარებით 1921 წ. იმავე თვეებთან საგარეო ვაჭრობა კითარდებოდა შემდეგნაირად.

	1921			1922		
	შემოტანა.	გატანა.	ბალანსი. (მილიონი დოლარით).	შემოტანა.	გატანა.	ბალ. ნ.
იანვარი	— 208,9	654,7	+445,8	216,0	279,0	+63,0
თებერვ.	— 215,0	489,0	+274,0	215,7	250,7	+35,0
მარტი	— 252,0	384,0	+132,0	258,0	332,0	+74,0
აპრილი	— 255,0	340,0	+ 85,0	217,0	321,0	+104,0
მაისი	— 208,0	330,0	+122,0	254,0	308,0	+54,0
ივნისი	— 158,0	340,0	+142,0	260,0	334,0	+74,0
ნახევარ წელიწ.	— 1336,9	2537,7	+1200,8	1420,7	1824,7	+404,0

აქტიური საგაჭრო ბალანსს მიმდინარე წლის პირველს ნახევარში შეადგენს 404,0 მილ. დოლარი წინააღმდეგ 1200,8 დოლარისა 1921 წელში, ე. ი. სდგას დაბლა თითქმის 67 პროც.

1921 წ. პირველ ნახევარში შემოტანა გატანასთან იმყოფება დამოკიდებულებაში როგორც 1: 2, მიწდინარე წლის პირველ რიცხვებში ეს დამოკიდებულება შეიცვალა და შეადგენს 7: 9. მაშინ, როდესაც შემოტანა ამერიკისა 1922 წ. პირველ ნახევარში თითქმის დარჩა იმავე სიმაღლეზე, როგორც იყო 1921 წელში, გატანა შემცირდა 713 მილიონი დოლარით ან თითქმის 28 პროცენტით.“

რამ გამოიწვია შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობის ასეთი დაცემა მაშინ, როდესაც იმპორტის საქმე თითქმის ერთს ადგილას სდგას, ექსპორტი ეცემა და მას შემაფერხებელი ზღუდეები უშლიან ხელს წარმატებისათვის. ამერიკამ ყველაზე უფრო მეტად მოიგო საერთაშორისო ომსა და საერთაშორისო მაშტაბში იგი გამოვიდა გამარჯვებული დიდ სახელმწიფოთა შტატებიდან. ომის პროცესში ამერიკამ უძლიერესად განავითარა თავისი სამრეწველო ძალები და ექსპორტის საქმეში ყველაზე მაღლა დასდგა. ომის პირველ ხანებში ამერიკა ორივე მებრძოლ კოალიციას აწვდიდა სხვა და სხვა საქონლებს და თავისი მხრით დიდძალი ოქრო შეზიდა შინ. 1917 წლიდან მისი საქონლის ბაზარი უმთავრესად შეიქმნა მოკავშირენი და ნეტრალური მხარეები. საერთაშორისო ომის მოთხოვნილებამ დიდი ბაზარი გაუხსნა ამერიკას და ისიც შეუწყვეტლად აწვდიდა ევროპას საქონელს. მაგრამ ომი შესწყდა, ევროპამ მშვიდობიან ლიანდაგზედ მოინდომა გადასვლა და ამით ამერიკის მაგნატებს ხელიდან გამოეცალათ სამხედრო მასალების დიდი მუშტარი. მასთანვე აუცილებელ მოთხოვნილებისა და მანუფაქტურის გასაღების საქმეში ევროპის მოთხოვნილება ისე, როგორც მთელს მსოფლიოში, ძლიერ დაეცა. ომის მიერ შექმნილმა სიღატაკემ ხალხი უკიდურეს გაჭირვებამდე დაიყვანა და წაართვა მას ყიდვის საშუალება. ამ გარემოებამ გამოიწვია საგარეო ვაჭრობის კრიზისი. ის სახელმწიფოები, რომელნიც განსაკუთრებით ეწეოდნენ საგარეო ვაჭრობას ძლიერ დაზარალდნენ ამით. ამას უნდა დავამატოს ის ფაქტიც, რომ ომის პროცესში ძლიერ გამოცოცხლდა კოლონიების (ინდოეთის, ავსტრალიის, კანადის) წარმოება და შემოტანილ საქონლების ნაცვლად შინ გაკეთებულებით დაიკმაყოფილეს მოთხოვნილებანი. ამერიკის საგარეო ვაჭრობის კრიზისი განსაკუთრებით გამომჟღავნდა 1921 წელს, და დღესაც შესაჩნევად ვითარდება. განსაკუთრებით იმოქმედა ამერიკის იმპორტის (გატანის) შემცირებაზე ცენტრალურ და ღრმოსავლეთ ევროპის საგაჭრო მოთხოვნილების შემცირებამ.

საერთაშორისო პოლიტიკისა და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საქმეში ამერიკის საგარეო ვაჭრობის შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკურად შორს დგება და არ შედის მასთან ურთიერთობაში, ეკონომიურად მას ყველაზე მეტი დამოკიდებულება აქვს რუსეთთან და უკანასკნელის იმპორტის საქმეში დიდ როლს თამაშობს ამერიკა. სხვებთან შედარებით ამერიკას ყველაზე მეტი შეაქვს რუსეთში. პოლიტიკურად რუსეთისადმი ამერიკა ნიადაგის სინჯვაშია, მაგრამ მისი საგარეო ვაჭრობის შემცირება, ექსპორტის საქმის კრიზისი და გარეშე მყიდველთა რკალის შემოზღუდვა, ბოლოს და ბოლოს აიძულებს ამერიკასაც გახსნას ბრჩხილები და რუსეთის მდიდარი ბაზარიც გამოიყენოს პირდაპირ თავის საქონლისა და კაპიტალის ასამოძრავებლად. ამისთავის კი საჭირო იქნება შემთხვევით საგაჭრო ურთიერთობიდან პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე გადასვლა და სისტემატიური ეკონომიური ურთიერთობის გაბმა რუსეთთან. ამერიკის საგარეო ვაჭრობის კრიზისი ამის წინამორბედათ უნდა ჩაითვალოს.

პასუხი „სმენაველოვცებს“.

„იზვესტიის“ № 135-ში მოთავსებულია ჰენრიხ ბერგმანის წერილი: „სამწუხარო შეცდომები პროფ. კლიუჩნიკოვისა“. კლიუჩნიკოვის აზრი „სმენაველოვცებზედ“ და მათ დამოკიდებულებაზედ საბჭოთა რუსეთისადმი ჩვენ მოყვანილი გვყავდა „ტრიბუნის“ № 282-ში. საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს კომუნისტების პასუხიც.

კლიუჩნიკოვის დებულებაზედ: „ჩვენ არა გვწამს რუსეთში დაუყოვნებლივ კომუნიზმის დამყარება და ამიტომ არა ვსთვლით ჩვენთვის საკვალდებულოდ, რომ უეჭველად კომუნისტები ვიყოთო“—ბერგმანი უპასუხებს: „განა როდისმე კომუნისტი ლაპარაკობდა „დაუყოვნებლივ კომუნიზმის დამყარებაზედო?“ კომუნისტები მუდამ ლაპარაკობდენ და ლაპარაკობენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოების ძალაუფლების სახით არის ძალა-უფლება კაპიტალიზმიდან კომუნიზმზედ გარდამავალი ეპოქისა და ხანგრძლივობა ამ გადასვლისა დამოკიდებული იქნება მთელი წყება ფაქტებისაგან და პირველ რიგში იმისაგან, თუ როდის დამყარდება მუშათა დიქტატურა მალალ-განვითარებულ ტეხნიკიან ქვეყნებშიო.“

რაც შეეხება კლიუჩნიკოვის და მის თანამოაზრეთა ხოშის განცხადებას, რომ მათ სურთ დაეხმარონ საბჭოთა რუსეთს, ამაზე ბერგმანი უპასუხებს; „რომ დაეხმარო, ამისათვის საჭიროა გაგებაო“, და ეს გაგება არაა კლიუჩნიკოვის საუბარშიო. მაგ. ის ლაპარაკობს რევოლიუციის შეცდომებზე და „დანაშაულზე“ ისეთის ტონით, რომელიც არ შეეფერება კოლჩაკის ყოფილ მინისტრს, თუ გინდ მონანიებულსაო.

რომ კლიუჩნიკოვს არ ესმის საბჭოთა ძალა-უფლების არსება, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ ის გაუგებრობად სთვლის კომუნისტების მხრით გამახვილებულ პოლემიკას, რომლის მაგალითად დასახელებულია „პრავდას“ წერილი „ნაკანუნეს“ საპასუხოთ. ნაკანუნე ეხებოდა ესერების პროცესს და უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, რომ ტრიბუნალმა ვერ დაიცო „მშვიდი ტონი აკადემიური კვლევისა“ და „გადაიქცა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზადო“.

ამრიგად „ნაკანუნე“ წინააღმდეგია სასამართლოს კლასობრივი ხასიათისა და მაშასადამე საბჭოთა ძალაუფლების კლასობრივი ბუნებისა. და როდესაც კლიუჩნიკოვს არ მოსწონს ამის საპასუხოთ დაწერილი წერილი, ისიც ამტკიცებს, რომ მას არ ესმის საბჭოთა ძალა-უფლების ბუნებაო.

ძველ ეკონომიურ ფორმებში კი რუსეთი არ ჩავარდებაო და ამის გარანტიად მიაჩნია ბერგმანს მუშათა დიქტატურა და მომავალი, თუმცა შეიძლება არც ისე ახლობელია მსოფლიო რევოლიუციაო.

ჩინეთი

საკვირველი ქვეყანაა ჩინეთი თავისი ძველის-ძველი კულტურით, რომლის დასაცავად და დასაფარავად მან უზარმაზარი კედლები შემოიკვლო და გამოეყო, მოსწყდა მთელ ქვეყანას. მან შესწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა დანარჩენ ქვეყნებთან. ეს ერთად-ერთი მაგალითია ისტორიაში, რომ ხალხი თავის თავს ასეთ იზოლიაციას უშვრებოდეს. ამ უგუნური კარჩაკეტილობის შედეგია ის, რომ ჩინეთი ძლიერ ჩამორჩა კულტურულად, თუმცა ბეჭდვა და კომპასი იქ ევროპაზედ გაცილებით უფრო ადრე გამოიგონეს.

სამასი წლის წინეთ ჩინეთი დაიპყრეს მანჯურებმა, რომელნიც კულტურულად მათზე დაბლა მდგარან იმ დროს და ამიტომ ვერ დაუძლევიათ დაპყრობილი ხალხი კულტურულად. პირიქით, თვით მანჯურებს შეუთვისებიათ საკუთარი ჩინური ენა, ზნე-ჩვეულება და დაუკარგავთ თავიანთი სახე, მაგრამ ძალა-უფლება, ბატონობა შეუნარჩუნებიათ. ერთად-ერთი ნაშთი მანჯურთა გავლენისა იყო ნაწნავები, რომელსაც ჩინეთში მამაკაცები ატარებდენ და რომელიც მოსპო ამ 10—11 წლის წინ. ამ მომხდარმა რევოლიუციამ. მან მოსპო მანჯურთა დინასტიის ბატონობა და ჩინეთი გამოაცხადა რესპუბლიკად. მაგრამ რევოლიუციამ ვერ მოსპო ის მტკიცე ბარიერი მიუროკრატიისა, რომლის საშუალებით მანჯურთა დინასტია განაგებდა უზარმაზარ ოთხას მილიონ. ნ ქვეყანას 300 წლის განმავლობაში. რევოლიუციამ ვერ მოსპო მანდარინები.

დღესაც ჩინეთში სამოქალაქო ომი გაჩაღებული და ბრძოლა სწარმოებს, რომლის შესახებ ზოგიერთ ცნობებს მივაწვდით ჩვენ მკითხველებს რუსული გაზეთებიდან.

ჩინეთის სატახტო ქალაქი პეკინია, ძველის-ძველი კულტურული ცენტრი,

უნარ მაზარი ტაძრებით და სასახლეებით. პეკინი მანდარინების ბუდეა. აქაა კვანძი იმ ქსელის, რომლის შემწეობითაც მათ ხელშია ჯერ კიდევ რესპუბლიკის მართვა-გამგეობა.

შანხაი წარმოადგენს ჩინეთის სამრეწველო ცენტრს თავისი ვეებერთელა ქარხნებით, რომელიც მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი მოთხოვნილების თანახმად და რომელსაც განაგებენ ჩინელები ევროპიელთა დაუხმარებლად. შანხაი ბუდეა პროგრესიულ და რადიკალურ მიმდინარეობათა. აქ ირაზმება და აღწევს ნაციონალურ თვითშეგნებას ჩინეთის ახალგაზრდა ბურჟუაზია და მისი ანტიპოდი პროლეტარიატი.

პეკინი და შანხაი ორი მოპირდაპირე ცენტრია დღევანდელი ჩინეთის, **მუდამ** ერთმანეთის სამტროდ გამოწყობილი და მუდამ ერთი მეორის მოძულე.

ჩინეთი თავისი მრავალ მილიონიანი მოსახლეობით წარმოადგენს დღე ნამდვილ რეზერვს კაპიტალისტობისა. და გაჩაღებულია ბრძოლა ჩინეთისათვის, თუ ვინ ისარგებლებს, ვინ გამოიყენებს ამ უზარმაზარ და გაუსებელ რეზერვს.

იბრძვის იაპონია და ამერიკა. იაპონია ცდილობს გამოიყენოს სიბუთად აზიური ჩამორჩენილობა ორივე ხალხის, ჩინელებისა და იაპონელების და ეგრეთვე ახლო მეზობლად ყოფნა. იაპონიას უნდა სათავეში მოექცეს საერთოდ მონგოლებს და დაუპირისპიროს ყვითელი აზია თავგასულ ევროპას. აქეთ იყო მიმართული იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში უკანასკნელ ხანებში.

მეგრამ ჩინეთი ერთიან დიდი ალმოჩნდა პატარა იაპონიისათვის. მას არც კაპიტალი ეყოფოდა ჩინეთის ხელში ჩასაგდებად და არც ტვინიკა და კულტურა ალმოჩნდა საკმარ. თვითონ იაპონიაც სულ ნახევარი საუკუნეა, რაც ევროპის კულტურას ეზიარა, აშკარაა იაპონიის მიერ დასახული მიზანი მის შევსებას ალემატება, ეს უტოპიაა.

ამიტომაც იაპონიის „მუშაობამ“ ჩინეთში ასე ცუდი, მტაცებლური ხასიათი მიიღო, რამაც მას წაჰკიდა ჩინეთის ბურჟუაზია და პირველი ბრძოლა იაპონიას გამოუცხადეს. ჩინეთში ბოიკოტი გამოუცხადეს იაპონურ საქონელს.

იაპონიის მოცილედ ჩინეთში გამოდის დიდი ამერიკა, რომელმაც თავი დაადწია ევროპის ომს და მიზნად დასახა ალმოს. აზიაში ჰეგემონიის ჩაგდება. ამერიკისათვის ჩინეთი ვრცელ ბაზარს წარმოადგენს, როგორც მისი ფაბრიკანტებისათვის, ისე იმ დაგროვილ კაპიტალისათვის, რომელიც საქმეს ეძებს და სამუშაოს.

ამერიკამ გამოიყენა იაპონიის მაგალითი. ის არ მიმართავს ყარიღურ მეთოდებს ექსპლოატაციისათვის, ის უანგარო მეგობრებით ატყუილებს ჩინელებს, მას უნდა უსისხლოდ დაიპყროს ჩინეთი. ესლა ის გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს იაპონური გავლენის გასადევნათ ჩინეთიდან და თავის გავლენის გასაძლიერებლად. ამ მიზნისათვის იყენებს ის პრესაჩ, სკოლებს, სავაჭმყოფოებს და სხვა დაწესებულებებს, რაზედაც ამერიკა არ შურავს ოქროს. ამერიკა აგზავნის მისიონერებს, მასწავლებლებს, ექიმებს, ინჟინრებს და უფრო კი ცდილობს ამერიკაში მიიტყუილოს ჩინეთის ახალგაზრდობა სწავლის მისაღებად. იქ ამერიკანიზაცია უფრო მალე და საფუძვლიანათ მოხდება.

მეგრამ მესამე მოცილეც ალმოჩნდა ჩინეთში. ესაა საბჭოთა რუსეთი, რომელიც განთავისუფლდა უცხოელთა მბრუნველობისაგან და ამით მაგალითს აძლევს ახალ ჩინეთს. და აკი ახალგაზრდობის სიმპატიები რუსეთის მხარეზეა. რუსეთის ორიენტაცია,—ეს ამერიკისაგან განთავისუფლებას ნიშნავს.

აპრილში და მაისში ამერიკელებმა მთელ ჩინეთში მოაწყვეს დისპუტი თემაზედ: „რუსეთის და ჩინეთის კავშირი“. ეს დისპუტი მოწყობილი იყო ვითომ იმ მიზნით, რომ მოეხდინათ შეჯიბრება ინგლისურ ენის ცოდნაში; მართლა კი წინდაწინ მომზადებულ დისპუტანტები უმტკიცებდნენ აუდიტორიას, რომ რუსეთს არაფერი გააჩნია ჩინეთს რომ მისცეს, ერთ ასეთ დისპუტზედ გამოვიდა ჩინეთის სოციალისტურ ახალგაზრდობის წარმომადგენელი და განაცხადა საპასუხოდ, რომ თუმცა ამერიკას ზარბაზნები, საქონელი და ოქრო შეტი აქვს, მაგრამ ჩინეთს მომავალი მიზნისათვის, უცხოელთაგან განთავისუფლებისათვის ახლოდ რუსეთი გამოადგებოდა. ამ განცხადებას მიჰყვა მქუხარე ტაშისცემა აუდიტორიაში.

მეორე მაგალითია—რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც გამართა მიტინგები, გაგზავნა ბროშიურები, ფურცლები და პლაკატები. 80,000 დოლარი შეგროვილია სულ წვრილ შემოწირულებით ინტელიგენციის, მოსწავლეებისა და მუშებისაგან.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ წამოყენებული ლოზუნგები იყო: „რუსეთი და ჩინეთი ბუნებრივი მეგობრები და მოკავშირენია“ „ჩინეთი უნდა დაეხმაროს უბედურობაში მყოფ მეგობარსო“.

ერთ პლაკატზეც თვალსაჩინოდ იყო გამოხატული: შანდუნის რკინის გზა, რომელშიაც იაპონია ათეულ მილიონებს მოითხოვს ჩინეთისაგან და ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, თითქმის 2000 ვერსი სიგრძით, რომელსაც რუსეთი უბრუნებს ჩინეთს უფასოთ.

ყოველივე ამან არ შეიძლება რუსეთისაკენ არ გალმოხარეს ჩინელების სიმპატიები.

პ.

(დასასრული იქნება).

უცხოეთი

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი.

მოსკოვი 27 აგვისტო. მიმდინარე წლის აპრილში პოლონეთის მთავრობამ განაცხადა პროტესტი, რუსეთის კომოლიკეთა კოსტელებიდან საეკლესიო განძეულობის გატანის წინააღმდეგ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საპასუხო ნოტამ აშკარად დაამტკიცა პოლონეთის მთავრობის პრეტენზიების უნიადაგობა რელიგიური საქმეებში და მრავალი ფაქტებით ნათელ ჰყო, რომ რიგის ხელშეკრულების დამრღვევი არის პოლონეთის მთავრობა, რომელიც უჩვეულო სახით სთვლავს ეროვნულ უმცირესობათა სარწმუნოებრივ უფლებებს.

მიუხედავად ამისა პოლონეთის წარმომადგენლობამ მოსკოვში კვლავ განაცხადა პროტესტი პოლიტიკაში ბობოლის წმინდა ნაწილების გახსნის გამო.(?) გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საპასუხო ნოტაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ყოველივე ლონისძიებანი რელიგიის სფეროში რუსეთის არა რელიგიური მთავრობისა ნაკარნახევი ძლევა მოსილი პროლეტარიატისა და მის კლასობრივ ინტერესებისაგან, პოლონეთში კი ქრისტიანული მთავრობა აწარმოებს ისეთ ალმაშფოთებელ აქტებს, რომელიც დაუშვებელია ქრისტიანული სინდისის თვალსაზრისით, საკმაოა აღინიშნოს მოსპობა მართლმადიდებელ სომეთოროსი ვარშავაში „წმ. კირილეს და მეფოდის“ ეკლესიის დანაშაულით აფეთქება, ვარშავაში მართლმადიდებელ ეკლესიის დაშლა და სხვა.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ნოტის უკანასკნელ ნაწილში გამოთქმულია იმედი, რომ პოლონეთის მთავრობა მომავალში თავს შეიკავებს ამ უკანასკნელ ნოტის ანალოგიურ გამოსვლებიდან და გამოიყენებს თავის გავლენას, რათა დაუყოვნებლივ შეაჩეროს პოლონეთში მართლმადიდებლების ყოველგვარი შევიწროვება, რომელიც წაგავს საშუალო საუკუნეობის უსაშინელეს რელიგიურ დევნას.

პუანკარეს სიტყვის გამო

მოსკოვი 27 აგვ. ლონდონის გაზეთი „პელ-მელი“ უკეთებს რა კომენტარიებს პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას, აღნიშნავს, რომ როგორც ჩანს საფრანგეთის პრემიერს ისევე ეჯავრება ინგლისი როგორც გერმანია. შეპყრობილი ფულის უზომო გაუმაძღროებით საფრანგეთმა ალბად ხელიდან გაუშვა გერმანიიდან კომპენსაციის მიღების ყოველივე შესაძლებლობა, რადგანაც ის ეთი თანხა, რომელსაც ის მოითხოვს, არ მოიპოვება. ამაოდ ცდილობს საფრანგეთი იარაღიით განკურნოს თავისი ეკონომიური ტკივილები.

— საფრანგეთის პრესა თანაგრძნობით ეპყრობა პუანკარეს სიტყვას და ფიქრობენ, რომ ეს სიტყვა გამოწვეულია იმ გაბედულობით, რომელსაც ხვალვე დაანახვებენ ბელგია და საფრანგეთი გერმანიას, თუ ის უარს იტყვის აუცილებელ გარანტიების მინიმუმის მიცემაზე.

უმუშევრობა ინგლისში

მოსკოვი. 27 აგვ. 14 აგვისტოს ინგლისში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 1,300,000 კაცს.

ამერიკის მემადროები

მოსკოვი 27 აგვ. ამერიკის მემადროეთა გაფიცვა გაგძელდება, შეწყდა მწარმოებელთა და მემადროეების მოლაპარაკება.

საკონსტიტუციო საკითხი.

ნიუიორკი. 26 აგვისტო. ლოიდ ჯორჯმა და ჩერჩილმა დაამთავრეს ვაკაციები და დაბრუნდნენ ლონდონში, საკონსტიტუციო საკითხის დაუყონებლივ გადაჭრის აუცილებლობის გამო.

კოლენსის მოადგილე.

ნიუიორკი. 26 აგვისტო. ირლანდიის არმიის მოკლულ მთავარსარდლის კოლინსის მოადგილედ დანიშნა არმიის შტაბის უფროსი მულკინი.

ამხ. იოფეს შეხვედრა

ჩინეთის დაბშეულთა დამხმარე კომიტეტმა გამართა ამხ. იოფეს პატივსაცემათ ბანკეტი, რომელსაც დესწრო ჩინეთის ყოფილი პრემიერი და მრავალი პოლიტიკური მოღვაწეები. შეეხო რა თავის სიტყვაში რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის. ამხ. იოფემ ალნიშნა მილიარდების დაწყების აუცილებლობა, მთელი რიგ საკითხების გაიო, რომელიც ვერ გადასწრა რუსეთის ყოფილმა მთავრობამ უნივერსიტეტის დარბაზში, იოფეს მისვლის გამო შესდგა ჩინეთის სტუდენტების მრავალ რიცხოვანი მიტინგი. პეკინის უფრო გავლენიანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამართეს აგრეთვე ბანკეტი იოფეს პატივსაცემად.

კომუნისტების დევნა ხარბინში

მოსკოვი. 28 აგვ. ხარბინში ხდება კომუნისტების მასიური დამატიმრება. ხარბინეთის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს რედაქტორი, პარტიის პრეზიდიუმის წევრები და პარტიის წარმომადგენელები პროფკავშირებში მიცემულნი არიან სასამართლოში ხალხმწიფოს ღალატის ბრალდებით.

ხარეპარაციო კომისიები

მოსკოვი, 28 აგვ. »ეკო დე პარის“ ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ხარეპარაციო კომისიების ყველა მოთხოვნილებანი უარჰყო გერმანიის მთავრობამ. გერმანიის მთავრობის წინადადება თავის ხმრივ მიღებული დარჩა ხარეპარაციო კომისიებისათვის.

გაფიცვები გერმანიაში.

მოსკოვი. 28 აგვისტო. გერმანიიდან მოდის ცნობები გაფიცვების შესახებ, რომლებიც არ არიან დამტკიცებული პროფკავშირების მიერ და გამოწვეილია უჩვეულო სიძვირით და პროფესიონალურ მოძრაობის ლიდერების უმოქმედობით. პრესის ცნობებით ლითონის დასამუშავებელ მრეწველობის მეპატრონეებმა გამოაცხადეს ლოკაუტი, რომელიც ემუქრება 6,000 მუშას.

ალმოსავლეთ პრუსიაში გაიფიცნენ მსხვილ საალმშენებლო წარმოებათა მუშები, აქაც გამოცხადებულია ლოკაუტი.

გერმანიის მარკის დაცემა

მოსკოვი. 28 აგვისტო. გერმანიის პროფკავშარებმა შეიტანეს გერმანიის მთავრობაში მთელი რიგი წინადადებებისა, მარკის კურსის დაცემის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ. პროფკავშირები წინადადებას აძლევენ მთავრობას გამოაცხადოს დაუყონებლივი კონფისკაცია სურსათის, ტანსაცმელების და ფეხსაცმელების და დაუბრუნდეს მოხმარების განსაღზვრას.

შორეულ ალმოსავლეთში ტერორი.

მოსკოვი. 28 აგვისტო. ჩიტადან 28 აგვისტოს თარიღით იტყობინებიან: ვლადივოსტოკიდან იტყობინებიან ჯერ არ გამოგონილ ტერორის შესახებ, რომელიც გამეფდა იქ დიტერიხსის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ. ხდება მუშების მასიური დამატიმრება, ძალადობა და დახვრეტა სასამართლოს გარეშე. ვლადივოსტოკის მშრომელებმა იგრძნეს რა თავიანთი უღონობა იაპონიის ოკუპაციის წინაშე, მიმართეს პროფკავშირთა ალმასრულებელ ბიუროს საშუალებით საელჩოს კორპუსს მემორანდუმით, რომელშიაც მოყვანილია მუშების ვრცელი სია, რომლებიც იქნენ უმიზეზოდ დამატიმრებულნი და მოკლულნი. ალმასრულებელი ბიურო მოითხოვს საელჩოს კორპუსისაგან, რათა ყველა დამატიმრებული მუშები იყვნენ გაგზავნილი საერთაშორისო დაცვის ქვეშ შორეულ ალმოსავლეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

— დიტერიხმა მოაწყო განსაკუთრებული თათბირი იმ პირთა საქმეების გამოსაძიებლად რომლებიც შემჩნეული არიან ბოლშევიკობაში. ამ თათბირის დადგენილებანი არ საჭიროებენ გადასინჯვას არავითარ პირობებში.

— ნიკოლსკში—უსურიისკში მზვერავებმა დაატყვევეს მუშების კრება 20 კაცისაგან შემდგარი. დამით დამატიმრებულები გაიყვანეს ქალაქ გარედ და დახვრიტეს.

ამერიკა და ინგლისი.

კრაუშენი 28 აგვისტო. სენატორ კოკსს ჰქონდა ხანგრძლივი თათბირი ლლოიდ-ჯორჯთან იტყობინებიან, რომ ინგლისი ამერიკასთან ერთად ეკონომიურ ბლოკადას ... ობის აუცილებლობას ... ქმეებში.

ამერიკის დემოკრატიული პარტია იწონებს ამ პოლიტიკას.

სოციალისტების დამატიმრება.

ჰანოვერი. 28 აგვისტო. ჩიკაგოში დააპატიმრეს სოციალისტური პარტიის ლიდერი ფორსტერი. ფორსტერი არის წინანდელ ფარულ გაფიცვებს ორგანიზატორი მასთან ერთად დამატიმრებულია 50 თვალსაჩინო სოციალისტები.

მესოპატამია.

ჰანოვერი 28 აგვისტო. პარიზის ცნობების თანახმად მესოპატამიის მთავრობა გადადგა ემირ ფეისალთან შეუთანხმებლობის გამო.

ცეცხლთან მებრძოლნი

პარასკევს, 25 მარიამობისთვეს, შემოთხვევითი მოწამე გავხდით ფრიად შესანიშნავი სანახაობის—თავისუფლების მოედანზედ ცეცხლის მქრობ რაზმის პარადის.

რაზმს ათვალიერებდა თბილისის ალმასკომი.

ჯგუფში მოსჩანდენ ამხ. ლ. დუმბაძე, წივწივაძე, თ. ლონტი და სხ.

მოედანზედ ჩამწკრივებულიყო მოგუგუნე მანქანები წყლის რეზერვუარებითა და ცეცხლის საქრობ სხვა საჭირო ნივთებით დატვირთულნი. მანქანებს მამაცურად შემოხდომიან რაზმელები ბეყვრიალა მუზარადებით.

ირგვლივ—უთვალავი ხალხი.

ალმასკომს გამოსვლისას მიეგება ცეცხლის მქრობ რაზმის უმფროსი ამხ. ალ. ბერიძე.

ალმასკომი მიესალმა ეხლა უკვე მანქანების წინ დაწყობილ რაზმელებს, რომელნიც სხარტად უპასუხეენ.

შემდეგ ალმასკომი ათვალიერებს სხვა და სხვა მანქანებს. ბრანდ-მაიორი განმარტებებს აძლევს მათ.

ბოლოს ალმასკომის ყურადღება მიიპყრო მოშორებით მდგომ მაგიდაზედ—წითელ ჯვრიანმა ყუთმა მაგიდის გვერდით იდგა ცეცხლის მქრობ რაზმის ექიმი თავისი თანაშემწეებით.—რაზმის ყოველ ნაწილს ყავს თავისი ფერშალი,—მოახსენებს ალმასკომს ექიმი,—რომელნიც იმას გარდა, რომ ამბულატორიაშიც მუშაობას აწარმოებენ, მუდმივად მარიგებენ კიდეც და რაზმს ცეცხლზედ გაჰყვეშიან ხოლმე ამ მოწყობილობით, რომელსაც თქვენ აქ ხედავთო. ეს მაგიდა და ყუთი წამლებით ეწყობა მანქანაზედ, რაზმელებთან ერთად ფერშლითურთ.

ალმასკომი ეტყობა იწონებს საექიმო დახმარების ასეთ რიგზედ დაყენებას.

მალე ჯგუფს გამოეყო ამხ. ბერიძე. რაზმელები გაქვავდენ.

ამაყად იხაზება ბრანდ მაიორის მკაცარი პროფილი და ბეჯითი გამოცქერა.

რაზმელები კარგად იცნობენ ამ გამოხედვას.

და ყურადღებიანი უცდიან.

დაიწყო.

გვიხიბლავს მუნჯური ბრძანებებზედ რაზმის მკვირცხლი მოძრაობანი.

ქალაქის ალმასკომის სახლის წინა კედელს ჩამოეკიდა კუბანი კიბეები.

და ერთ წამში კატებივით სახურავზედ ალოცდენ. პირველ მაგალითს თვით ბრანდ-მაიორი იძლევა გასაოცარი სიფრაფით.

მალე აქა იქ გადმოეშვა სხვილი თოკები. თოკებით სახურავიდან ძირს სწრაფად ეშვებიან რაზმელები,—ზოგი მარტო, ზოგიც წელზედ შემორტყმული მავშვით, თითქოს ცეცხლიდან გადარჩენილით.

სახურავიდან მთელ მოედანს გადაეფარა ერთიანი პარკი. პარკი სახურავიდან მიწაზედ ეშვება ჯერ თვით ბრანდ-მაიორი—შემდეგ რაზმელები. პარკის შიგნიდან მოისმის ხახუნისაგან ყურის მჭრელი წივილი.

გვერდზედ აქშეკიდა წყლის ამომქაჩავი მანქანა.

ზეცას დაეშვნა რკინის მილები.

და ჰაერი აკრა თვალ-მიუწდომელ სიმაღლეზედ უამრავმა ძლიერმა შადრევანებმა.

ერთ წამში წყლის ტბა დადგა.

ბრანდ-მ იოორი მკვეთრად და მოკრძალდა სცენდა ბრძანებას, უფრო ხშირად—მუნჯურად, უსიტყვოთ, ნიშნებით.

და ყოველი მოძრაობა იყო სხარტი, გაბედული გადაჭრილი, თავ განწირულებით გალამაზებული.

ამხ. დუმბაძემ ალნიშნა ეს არაჩვეულებრივი თავდადება რაზმელების თავის მოკლე სიტყვაში და ალმასკომის სახელით მათ მადლობა შესთავაზა.

სურათის გადაღების შემდეგ ბრანდ-მაიორის ბრძანებით მანქანები სწრაფად ეუდგნენ სოლოლაკის ალმართს—სადგურისაკენ.

— რამდენი ხანია საჭირო ცნობის შემდეგ თქვენი გამოსვლისათვის?

ვკითხე ერთ-ერთ რაზმელს.

— დიდი 2 წუთი დაგვაგვიანდეს,—ჩვენ უკვე ცეცხლთანა ვართ გაჩენილი მიპასუხა.

განვითარების უმაღლეს საფეხურამდე მიუყვანია ცეცხლის ქრობის საქმე ამხ. ბერიძეს

— ჩვენები ამ საქმის „დმერთს“ ეძახიან ამხ. ბერიძესაო.

მითხრა ერთმა რაზმელმა ჭეშმარიტად ალბათ იმიტომ ყოველ საქმისათვის შეესაფერი „დმერთი“, უარომლისოდაც საქმეს არ მოიმეშება თავი არავითარი ცდით.

მადლობა ამხ. ბერიძეს და მის მეფრ. გამოწვართნილ ცეცხლის მქრობ რაზმელებს.

ჭეშმარიტად დირსია ისინი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის და პატივის ცემის, ვისგანაც ჯერ არს.

გრასი.

რაჭის მაზრის ელექტროფიკაცია.

რაჭის ალმასკომმა დაისახა სრულიად ახალი და უძნელესი ამოცანა. ეს არის **მაზრის ელექტროფიკაცია.** ელექტროფიკაცია იმ მაზრისა, რომელსაც ჯერ არ უნახავს არც შინა მრეწველობა, არც ქარხანა და არც რკინის გზა!! მკითხველს ეს გაუკვირდება, მაგრამ ჩვენ ამას მაინც ვაწყობთ. მართლაც საშინელი დაჟინებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს რაჭის ალმასკომმა, მშრომელ გლეხობასთან ერთად. უკვე ხელთ გვაქვს ბევრი საჭირო მასალა: მიტანილია სოფ. წისში, სადაც უნდა გაიმართოს ელექტრონის სადგური, მთელი კომპლექტი პილტონის ტურბინისა ერთ ღერზე, ცვალებადენის ალტენატორით 625 კილოვატი, 3000 ვოლტი, 900 ცხენის ძალის ეს უკვე მნათობია ეკონომიურად ჩამორჩენილ რაჭის მაზრისათვის, მას ექნება ყოველმხრივ მნიშვნელობა არა მარტო ამ მაზრისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ტერიტორიისათვის და მან უნდა მიიზიდოს მწარმოებელი ბუნებიდან მდიდარ რაჭის მაზრაში.

რაკი შევძელით გვეშოვა ასეთი ძლიერი ტურბინა, ჩვენ დაგვრჩებოდა მხოლოდ შევსდგომოდით შ... საფერი ძალის მდინარის გამონახვ...

კომისია, რომელშიაც შედის: ჰიდრავლიკი იელიკ ფაშაევი, ინჟ. წვერავა და ინჟ. მჭედლიშვილი, რომლებსაც შეუერთდენ ადგილობრივი ტეხნიკური ძალები, შეუდგშენ გამოკვლევას მდინარე რიონის მიდამოებისას ზემო და ქვემო რაჭაში. გამოკვლეულ იქნა, როგორც მდინარე რიონი, აგრეთვე მასში ჩამდინარე წყლები: ლუხუნი, რიცეული, ჯოჯორი და საკაულა

წყალდიდობა ბათომში

20 და 21 აგვისტოს მომხდარმა წყალიდობამ დიდი ზიანი მიაყენა ქალაქს.

წყალდიდობა დაიწყო კვირეს ღამით და დამთავრდა ორშაბათ საღამოს. მეტადრე საშინელი სურათი იყო ამ დროს. ქუჩაზე გამვლელს ვერივის დაინახავდით. მცხოვრებთა ეზოში გაივსო წყლით, რამაც დიდათ დააზარალა განსაკუთრებით პუშკინისა, ტფილისისა, ოლღასი და აჭარის ქუჩები, სადაც გავლა შეუძლებელი იყო. ღვინის სარდაფები ხომ წყლით იყო სავსე.

წყალდიდობის შეწყვეტის შემდეგ ყველა ქუჩებში წყალმა იკლო, მხოლოდ აჭარის ქუჩაზე კვლავ მძვინვარებს. აქ წყლის სიდრმე არშინს აღემატება. ეტლების მოძრაობა შეწყვეტილია. ნაწილი სიმდიდრისა დაზიანებულია. მრავალი საქონელი იქნა გადარჩენილი, ცეცხლს მქრობელ რაზმისაგან. რომელმაც საქაჩავებით სარდაფიდან წყალი ამოიღო, მაგრამ ამ ძლიერი წყალდიდობის პროცესში ცეცხლის მქრობელ რაზმის მანქანა დაზიინდა.

მანქანის შეკეთება უკვე დამთავრდა. ასე რომ სარდაფებიდან წყლის ამოქაჩვა კვლავ გაჩადდება.

დიდი წყალდიდობა იყო აგრეთვე იმ ადგილს, სადაც ლტოლვილები სცხოვრობენ, მათი საცხოვრებელი ადგილები წყლით იყო სავსე.

ასეთივე სურათი იყო „გოროდოკში“.

ერთი სიტყვით, ამ მოვლენამ საშინელი შედეგი დასტოვა.

ქართველ მაჰმადიანთა წარსულ ცხოვრებიდან

გულო ალა კაიკაციშვილი.

1840—1922 წ.

ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებასა და ისტორიაში ამ კაცს ეთმობა პირველი ადგილი.

სხვებმა ეს ცნობა, რომ ლიტონ სიტყვა არ ჩამოგვართვან, ამიტომ შევეხებით ამ კაცის მოღვაწეობის უმთავრეს მუხლებს და მის შემდეგ მკითხველს გავაცნობთ მის მოკლე ბიოგრაფიასაც.

გულო ალა კაიკაციშვილი დაიბადა ოსმალთა მონებაში, 1860 წელს. თვალუნი გაახილა ისეთ დროს, როცა ოსმალეთში ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართველობის ყველასფერი იდევნებოდა. მაგალითად: მოსპობილი იყო ქართული ენა ყველგან და მოსპობის გზაზე იგი იდევნებოდა სასტიკადაც.

1878 წ. რომ სამუსულმანო საქართველო საქრისტიანო საქართველოს არ შემოერთებოდა, მაშინ აჭარაში მთლად ამოვარდებოდა ქართული ენა და მოისპობოდა, რადგანაც ოსმალოს მთავრობას ქართველების გათურქება ისე მკაცრად ჰქონდა დაყენებული.

შეიძლება ერთად ერთი ქართული ენა შენახულიყოს ქობულეთელებში, ესეც გურულების სიახლოვის გამო, თორემ სხვაგან მთელს სამუსულმანო საქართველოში გამქრალი იქნებოდა ქართული ენა ტ მოსპობილი. ეს ბედი ეწვა ქართულს ენას მისმა უხეირო შვილების მოქმედებამ და ბოროტებამ, ეს იყო ასეთ კაცთა ნაუბეი და საჩუქარი ქართველი ერის წინაშე. გულო ალამ პირველმა ალიმალა მაშინ ხმა, პირველმა წარმოსთქვა საჯაროთ ქართველ მაჰმადიანებში შემდეგი სიტყვა:

ჩვენ ტომით და ენით ქართველები ვართ, ჩვენ გვაქვს სჯული ისლამის და ვართ თანამორწმუნენი ოსმალოს თათრების, ხოლო ჩვენ არც თათრები ვართ, არც ქურთები,—ჩვენი დედა ენა არის ქართული, ჩვენი ისტორიაც არის საქართველოს ისტორია, ჩვენი სამშობლო გახლავთ საქართველო და არა ოსმალეთი და თურქეთი.

ჩვენ უნდა მტკიცეთ დავიცვათ ჩვენი დედა ენა ქართული, რადგანაც ჩვენი ძველების ენა ეს იყო და იგინი ამ ენით ადიდებდენ დმერთს. ჩვენი ძველების ენის დათმობა ჩვენგან იქნება დიდი შეცდომა და სამარცხვინო საქმე.

ჩვენ ვართ ქართველი მაჰმადიანები, ანუ ქართველი მუსლიმანები და არა თათრები, როგორც ეს არის ჩვენს ხალხში გავრცელებული და ყოველი ქართველი, ანუ ქობულეთელი, აჭარელი, ლივანელი, შავშელი და სხვანიც ამბობენ, რომ ჩვენ თათრები ვართო. ეს შეცდომა გახლავთ, ჩვენ ტომით და მოდგმით ქართველები ვართ და არა თათრები.

ამიტომ მოგვგონებთ ქართველო მაჰმადიანებო და გავალებთ ამ ცნებით ცხოვრებას და მოქმედებას, თქვენ ნურავის მისცემთ ნებას, რომ თქვენი ვინაობა, ენა და ისტორია აბუჩად აიგდონ და მასხარათ გახადონ, თქვენი ენის დაბრიყვება და მასხარათ აღება იქნება თქვენი დახმარებით თქვენი აბუჩათ აგდება, ამიტომ გთხოვთ, რომ ამის წინააღმდეგი იყოთ.

ეს სიტყვები წარმოთქმული ჰქონდა ქობულეთის თემში, აჭარის, ლივანის ხევის, საქარელოს და სხვა თემთა ადგილს ქართველ მაჰმადიანებში. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ქობულეთს 1860 წელს.

მეორეთ სიტყვა წარმოსთქვა აჭარას 1862 წ. 1863 წ. საქარელს, 1864 წ. ლივანას და სხვა ადგილებშიაც ამისი ენა არ დამდგარა და ყოველთვის მზათ ყოფილა ამ სიგნით ლაპარაკს.

გულო ალამ თავის დედის დახმარებით შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, დედა ამისი და ესეც ქობულეთიდან ძრიელ ხშირად გადადიოდა გურიაში და იქ ეს ქართულს წიგნებს შოულობდა საკითხავათ. იმ დროის ქართველი ერის საკითხავი წიგნი იყო ერთად ერთი ეკონალი „ცისკარი“.

1866 წ. გამოვიდა გაზ. „დროებათ“ და ამასაც მალე გაეცნო გულო ალა კაიკაციშვილი.

მიუხედავათ იმ შიშის, რომ იქ ქართული ენა და წიგნი სასტიკათ იდევნებოდა, მაინც გულო ალა არ შეუშინდა არც ოსმალეთის ბოროტებას, არც შეუგნებელს ხოჯიებსა და მოლებს და მან 1869 წ. ეს გაზეთი „დროება“ ქობულეთში გადაწერა კიდეც თვიურად.

1870 წ. ამ პატიოსანმა მამულიშვილმა გაზეთი „დროებაში“ შრომაც დაიწყო და ქობულეთიდან დაუწყო წერილების გზავნა „დროების“ რედაქციას, რასაც რედაქტორი ყოველთვის დიდის პატივის ცემით ათავსებდა „დროებაში“ და ამისთვის გულო ალასაც დიდათ აქებდენ და პატივს სცემდენ მის გამო, რომ მან ქართული ენაზედ წერა დაიწყო.

ეს იყო პირველი მაგალითი ქართველის მაჰმადიანისაგან, რომ პატივცემულმა მამულიშვილმა ქართულ ენაზედ, ანუ თავის სამშობლო ენაზედ წერა დაიწყო იმ ქართულ გაზეთ „დროებაში“, რომელსაც ოსმალოს მთავრობა სასტიკად კრძალავდა. მათში შეტანა ამ გაზეთისა არავის შეეძლო.

გულო ალას ეს გაზეთი ყოველთვის სიამოვნებოთ მისდიოდა და ამას იგი მარტო თვითონ კი არ კითხულობდა, არამედ იგი სხვებსაც აკითხებდა თურმე. ამ საქმეში მისი კარგი მეგობარი იყო განსვენებული დელო ალა ნიჟარაძე, მაძა აწინდელის აჭარისტანის გამგის რეჯებ ნიჟარაძისა.

ამ კაცს გარდა გულო ალას სხვებიც სცემდენ პატივს და ქართულ გაზეთის კითხვაში მხარს აძლევდენ. გულო ალა არ სცხრებოდა და ტფილისიდან იბარებდა სხვა და სხვა ქართულს წიგნებს, ნამეტურ ქართულს ანბანს და ყველა ამათ ურიგებდა ქართველ მაჰმადიანთა ბავშვებს და თან მათ კითხვასაც ასწავლიდა.

გულო ალას მეცადინეობა იყო, რომ 1870 წლებიდან ერთმა სხვა ქართველ მაჰმადიანმაც ისე კარგად შეისწავლა ქართული წერა კითხვა, რომ ამანაც დაიწყო გაზ. „დროებაში“ წერილების წერა. ამათი ნაწერი წერილები ეხება ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებას ქობულეთის თემში, აჭარაში და სხვაგანაც.

ყველა მათი წერილები ბრწყინავენ კეთილ მორალური მიმართულებით და ქართულის მამულისშვილურის თვით შეგნებით და მის ცნებით.

გულო ალა კაიკაციშვილი პირველი იყო, რომელსაც ადრიდგანვე საქართველოსკენ ეპირა თვალი და იგი ყოველთვის ღმერთს ავედრებდა ქართველ მაჰმადიანების საქრისტიანო საქართველოსთან შეერთებას.

ეს იყო პირველი გმირი ამისი, რომელიც გურიაში გრიგოლ დავითის ძე გურიელს ყოველთვის ამაზე ელაპარაკებოდა და ავალებდა, რომ ამას ემოქმედნა, როგორც მთავრის შვილს და რუსეთის მთავრობას უსათუოდ შეერთებინა ოსმალეთის საქართველო საქრისტიანო საქართველოსთან და მით მომხდარიყოს ქართველი ერის გაერთიანება.

პირველი იყო გულო ალა კაიკაციშვილი, რომელიც მთელს სამეგრელოში ქართული ენის დაკარგვას მწუხარე გულით უმზერდა და ამაზეც იგი მწარეთ სწყენოდა თვით ოსმალოს მთავრობას და სასულიერო წოდებასაც.

პირველი ქართველი ეს გახლდათ რომელიც მოესწრო 1877 წ. ომის დაწყებას და მასთან მის შრომას. რომ ეგებ ამ ომის მეოხებით მომხდარიყოს მათი შემოერთება ჩვენთან

უდიდეს მამულიშვილს და გულს შემამტკივარს ელარსა თავისი ნატვრა და 1878 წ. ბერლინის ტრაქტატის ძალით ქობულეთის თემი, ბათომის თემი, მაჰახლისა, ლივანის ხევი, შავშეთი, ქვედა და ზედა აჭარა, მუხლიულის ხევი და სხვაც ბევრი ადგილები, სადაც იმ დროდის იყო დაცული ქართული ენა, ყველა ეს ადგილები შეერთებული იქმნა ჩვენთან.

პირველი იყო გულო ალა, რომ ჩვენს მომავალს ჯარს, როცა პირველად შევიდენ იქ, მათ წინ დახვდა გულო ალა პურით და მარილით და მასთან ქართულ ენაზედ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა.

პირველი იყო, რომელმაც თავისი შვილი ასლანი ქართულ სკოლაში შეიყვანა სასწავლებლად, ამის მაგალითს დაადგა დელი ალა ლუარსაბიც. ასლანმა სწავლა ტფილისის გიმნაზიაში დაამთავრა და მერე ადესაში წავიდა. იქ უნივერსიტეტში სწავლობდა, ჩვენს მეფეზედ ეს საუკეთესო ქართველი იქ გარდაიცვალა 1878 წ.

გვამი მისი მოასვენეს ქობულეთში და ამიტომ ქართველ მაჰმადიანები სძრახავდენ გულო ალას, რომ შვილი ქრისტიანების სკოლაში შეიყვანა და ამიტომ იგი ღმერთმა დასაჯა. ესეთი სიტყვა რაჯამ ჯამეშიაც წარმოსთქვა. გულო ალა მაინც ამას არ შეუშინდა და იქვე ჯარებს ასეთი სიტყვა წარმოუთქვა:

მითქვამს და ვამბობ კიდევ, რომ სწავლა განათლება ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, თორემ მოლოს ჩვენ ზღვაში ჩასაყრელი გვაგზავნით, ნამეტურ ჩვენი შვილები, სწავლა-განათლებასთან არც ისლამს აქვს საქმე და არც ქრისტიანებს, ჩემი შვილის სიკვდილთან არავითარი საქმე არ აქვს ისლამს, ან ჩემს ცოდვებს, ეს არის შეუძლებელი ხალხის დაპარაკი.

ამიტომ მითქვამს და ავჩაც ვამბობ ჩემი შვილის დაკრძალვის დროს, რომ ჩემის შვილის სიკვდილთან არავითარი საქმე აქვს ჩვენი სჯულის ცოდვებს. ჩვენი შვილების უსწავლელათ დატოვება იქნება ჩვენი დალუპვა და უძლურება, ამიტომ ვ მბობ, რომ ჩვენის შვილების უსწავლელად დატოვება იქნება ჩვენი დალუპვა.

ამიტომ მე ჩემი შვილის სიკვდილის სამახსოვროდ მოგიწოდებთ ყველას და გთხოვთ, რომ ჩვენ ვიზრუნოთ და ქობულეთში ჩვენი ენის სკოლა გავაკეთოთ, სკოლის შენობის ადგილს მე შემოეწირავ.

სკოლების გახსნის გამო გულო ალას ბევრს ალაგას აქვს სიტყვები წარმოთქმული.

1882 წ. შემდეგ, რაკი ქართველ მაჰმადიანთ მუჰაჯირათ წასვლა მოხდა, ამათ წინააღმდეგ დიდათ მოქმედებდა ეს პატიოსანი კაცი და აფრთხილებდა ყველას, რომ ოსმალეთში ნუ სახლდებითო. ამის წინაშეც მას კარ სამსახური მიუძღვის.

1894 წ. ბათომში გახლდათ ილია ჭავჭავაძე და გულო ალამ პირველ ნახვის დღეს ისეთი სიტყვა უთხრა ილია ჭავჭავაძეს, რომ ამითი აღფრთოვანდა იგი.

გულო ალას მე ვიცნობდი შორიდან, მისი პირადი გაცნობა მოხდა 1890 წ. ამ წელს მე წავედი ქობულეთში, მე გვყავდა გულო ალას შვილს, გიმნაზიის მოწაფე ასლანს. ბინათ ჩამოვხტი გულო ალას სახლში, თან ქართული წიგნები წავიღე. დღისით ქობულეთის თემის სოფლებში დავდიოდი ქართულს წიგნებს ვარიგებდი.

ეს გარემოება ისე გაუხარდა გულო ალას, რომ ღმერთს მადლობას სწირავდა იგი.

იქ ჩამოვიდა იმ დროს ყოველად პატიოსანი გრიგოლ დავითის ძე გურული. ეს პატიოსანი კაციც თავის ამალით გულო ალას სახლში ჩამომხტარიყო. ჩემი მისალა და ქართული წიგნების ჩატანა ამ მოხუცებულს გენერალს დიდათ გახარებოდა.

სადამოს მე ჩვენი სოფლებიდან ქობულეთში, [illegible] და იქ დამხვდა გრიგოლ გურული, გულო ალამ გაიცანო ერთმანეთი [illegible] მოხულიც გრიგოლ გურულს ასე:

ბატონო გრიგოლ, მოგილოცავთ იმ შეუდნიერ დღეების დაწყებას, რომ ჩვენს ქართველ მაჰმადიანებში ქართული წიგნები იქმნა ჩამოტანილი, რასაც ზაქარია სკოლებში ატარებს და არიგებს.

ამის შემდეგ ამათ ლაპარაკი დაიწყეს ქართველ მაჰმადიანების შესახებ, გულო ალას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მათს შესახებ, რომ მე მოვესწარი იმ შეუდნიერ დღეს, რომ ქართველმა ერმა ქართველ მაჰმადიანებს ყურადღება მიაქციეს და ჩვენს სოფლებში ქართული წიგნები გამოუგზავნესო.

ასეთი ამბების მოთვლით ჩვენ შორს არ წავალთ, ეს ერთობ ფართო წერილი გამოვა, დავასრულებთ მხოლოდ ერთს მაგალითს.

აკაკის დასაფლავების დღეს გულო ალა ტფილისში დაესწრო და ისეთი სიტყვა წარმოსთქვა და აკაკის ცხედარს ისეთის კილოთი მიმართა, როგორც ქართველ მაჰმადიანმა, რომ იქ მყოფნი და მსმენელები განცვიფრებაში მოიყვანა, ზოგი ადელდა, ზოგს ტირილი მოუვიდა.

დღეს გულო ალა კაიკაციშვილი, მოხუცებული სცხოვრობს ქობულეთში და ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობას დიდის ხალისით ადევნებს თვალყურს და თან ქართულ გაზეთებსაც დიდის სიყვარულით და პატივისცემით კითხულობს.

ზ. ჭ

მოგზაურული ამბები

წადვერი. საკურორტო ცხოვრება განსაკუთრებულ სიცხოველეშია. ახლოველ კურორტებთან, (ბორჯომი, ცქმი, ბაკურიანი) შედარებით აუარებელი მოგზაკე არის ჩამოსული; ახალ მოგზაკეთა ჩამოსვლა დღემდის არ არის შეწყვეტილი და ამის გამო ბინების კრიზისიც საგრძნობი გახდა. სანატორიუმიდამ ერთი რიგი ავადმყოფებისა უკვე გამგზავრა ვადის გასვლის გამო; ზოგიერთი ავადმყოფებს, რომელთაც ჯანმრთელობა გაუმჯობესდა და სურვილი გამოცხადეს სანატორიუმში დარჩენისა, კიდევ ბინები მიეცათ და ნაღდ ფულზე ინახავენ.

სანატორიუმი ვერ არის სათანადოთ მოწყობილი; ინვენტარის უქონლობა და მატერიალური სახსარის ნაკლებობა საქმეს აბრკოლებს. ამ ნიადაგზე ხშირი არის ავადმყოფების უკმაყოფილება. სანატორიუმის გახსნის პირველ დღეებში საუკეთესო სადილები ეძლეოდათ; უკანასკნელ ხანებში კი გაუარესდა და არც ის არის საკმაოთ,

საკურორტო ხარკი მოგზაკეთაგან უკვე აიკრიბა, თუმცა მისი გამოყენება კურორტის კეთილდღეობისა და გაუმჯობესებისათვის ოდნავაც არა სჩანს. სანიტარული მდგომარეობა კურორტისა ვერ არის მაინც და მაინც კარგი; უსუფთაობა ნაგვის დაგროვება,—ჩვეულებრივი მოვლენებია. ასეთი მდგომარეობა არის განსაკუთრებით წადვერის სავეტრო. ცენტრში, სადაც შედარებით მჭიდრო მოსახლეობაა.

ბაზარი სხვა და სხვა სანოვაგით ავსილია, ვაჭრებს სრული თავისუფლება აქვთ ფასების აწევა-დაწევისა ამით უხვად სარგებლობენ, თუ არა ერთმანეთს შორის კონკურენცია,—ფასები გაცილებით მაღალი იქნებოდა. ფასები იწევს: კარაქზე, თაფლზე, რძეზე; მეტათ ძვირი არის ხილიც, სხვა ადგილებთან შედარებით.

მოგზაკეთათვის გახსნილი არის სამკითხველო, სადაც ქართულ-რუსული გაზეთები მოდის. არ არის გაზ. „ტრიბუნა“, თუმცა მასზე მოთხოვნილება არის. ადგილობრივ თეატრში თითქმის ყოველ დღიურათ წარმოდგენა—სალამოები იმართება; ასეთი სიხშირის გამო, ხალხი ძლიერ ცოტა ესწრება. ამის გარდა წარმოდგენები—სალამოები ხშირათ უშინაარსოა და ყველა უპასუხისმგებლო მართავს, თეატრის სარგებლობისათვის ადგილობრივ ადმასკომს. 25 პროც. მიაქვს მთელი შემოსავლიდან, რაც ისეთ მოუწყობელ თეატრისათვის როგორიც აქ არის,—დიდათ უნდა ჩაითვალოს. თეატრს არა აქვს დეკარაცია, ფარდა, რეკვიზიტი; განათება (ელექტრონის) ძალზე სუსტია. წინა წლებში თეატრის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი ყოფილა, თუმცა ადგილობრივი ორკესტრები მუდამ თეატრის გაუმჯობესებაზე ლაპარაკობენ;—სინამდვილეში კი ადგილი პროცენტებიდან თეატრს არა რჩებია რა. პირიქით, რაც კი იყო, ისიც გაცარცული და დამტვრეულია.

უკანასკნელ ხანებში გაიმართა პოეტი. გრიშაშვილის სალამო, რომელიც შინაარსიანი გამოდგა და ხალხიც აუარებელი დაესწრო. სალამოში მონაწილეობდენ, სხვათა შორის, მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე და ნიკო გოცირიძე. ამას წინათ აგრეთვე დადგმული იქნა კომედია „ხანუმა“ ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით, რამაც აუარებელი ხალხი მიიზიდა.

ამიდგები აგარაკზე გვარიანი არის, თუმცა ხშირათ გადმოწვიმს ხოლმე. ხშირათ ჭრის აგრეთვე ქარი—რაც ასე ხშირი გახდა ბორჯომის ხეობაში, ალბათ ტყეების გაჩეხვის გამო.

საკურორტო სეზონი, როგორც გადმოგვცეს, 15 ენკენისთვემდის, და შესაძლებელია ენკენისთვის დამლევამდისაც გაგრძელდეს.

გ.—ი.

—

სოფელს მიხედეთ

იყო დრო, როცა მდაბიო ხალხს ასულდგმულებდა მომავალი და ამ უკანასკნელათ მის ნაყოფსაც ეღირსა, მოესწრო, მაგრამ მოლოდინი ნაადრევი გამოდგა; იმედი მას ალარ მოეძევა და თავისავე თავს სთვლის დამნაშავეთ. ცხადია, რომ უმაღლეს საბჭოთა მთავრობას დამნაშავეთ არა სთვლის და მის გულ-კეთილობაში სრული დარწმუნებულია; მაგრამ დიდათ უკმაყოფილოა მის ხელქვევით მდგომ ე. წ. პატარა მთავრობაზე, რომელიც თავის ნებაზე ქანაობს ხან აქეთ და ხან იქით. მდაბალი ხალხის ფიქრით, დღეის მთავრობა მას ეკუთვნის. მაგრამ ადგილობრივი ძალების მოქმედობით არის უკმაყოილო ერთი ასეთი მაგალითი.

დღეს შორაპნის მაზრაში მოდებული საქონლის ჭირი. ადგილობრივმა ბეითალმა თავის დროზე არ მიიღო შესაფერი ზომები და ხალხზედაც გადავიდა. სამაზრო ბეითალი მოქ. ცხადაძე ოდნავაც არ იბერტყავს ყურს და თუ ხანდისხან გაისეირნებს, ამით ის ვერას ხდება. ყავს 2-3 ფერშალი, რომლებიც მთელ მაზრას ვერ სწვდება და ისიც ისე გაილეშებიან ხოლმე ღვინით, რომ საქონელის ჭირს კი არა, ერთმანეთსაც ძლივს ცნობენ ხოლმე; მაგრამ ეს ხომ მამაპაპური ადათ-ჩვეულებაა და ეგრე ადვილათ დავიწყება განა შეიძლება?! იყო შემთხვევა, რომ თვით ბეითალი ცხადაძე ადგილობრივ (ზესტაფონში) მოიწოდეს საქონლის გასასინჯავათ, მაგრამ სანამ საქონელი არ იმსხვერპლა სენმა თავი არ შეანძრია. თუ თვითონ ველარ ერევა საქმეს, მაშინ უნდა მოითხოვოს ზედმეტი დამხმარეები (ფელდშერები); მაგრამ არც ეს აინტერესებს ვგონებ დალო-

ცვილს!? ეხლა ზაფხულია და ბუზებსაც სეზონი უდგას; თავის ნებაზე გადააქვთ-გადმოაქვსთ სენი როგორც თვით ცხოველებზე, ეგრეთვე ადამიანზედაც კი...

ყველაფერს თავის დრო აქვს და ვერ წარმოგვიდგენია, თუ რათ არ ჰკიდებენ ხელს ის თავის მოვალეობას. ხალხი დამარქაფებული ცხენენებით წამდაუწუმ კარზე ადგია და ბატონო-შენიჭირიმეს ძახილით შესთხოვს „წამობრძანდი“-ო, მაგრამ ოდნავაც არ აქცევს ყურადღებას; ზოგს კი მეორე დღეს უნიშნავს. ეს აღარ შეფერის ღღევანდელ ხანას ნუ თუ ჩვენ ბითალს ვერ „უგვრძნია? ამის შესახებ ეგების სამაზრო ალმასკომი აკეთებს რამეს?—მაგრამ არც ეს იტკენს დიდათ თავს, თუმცა ზედმეტად ვალდებული კია სიფხიზლე გამოიჩინოს თავის სამწყსოში. ვსთქვათ, რომ სხვაც ბევრი საქმე აქვს; მაგრამ ამაზე მეტი აღარც გამეგონება!?—ხალხი თვალ-ცრემლიანი გარბი-გამორბის და ეს ბეითალი კი მეტად არ აფასებს; ვის ნახავთ, რომ ლექციას კითხულობდეს ამ სენიდან თავდაცვის შესახებ და ისიც მიყრუებულ სოფლებში?? საქონლის ხორცს ათასნაირათ ხმაროებენ მცხოვრებლები და ეს სენი განა ბოისპობა!?! ბევრგანაა ავათმყოფი არამც თუ საქონელი, ადამიანიც კი და თუ ასე გასატანა ვინ იცის რა იქნება აწ მომავალშიაც!!

საჭიროა ეხლავე ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს.

„ბ—ნეს ნ—ული“.

ბიბლიოგრაფია

ილიონი, თვიური ჟურნალი, № 1. 1922 წ. ტფილისი. 64 გვ. ქართველი პოეტები და მწერლები ორ ბანაკადაა გაყოფილი: „სრ. საქ. მწერალთა კავშირი“ და „ახალ მწერალთა კავშირი“. უკანასკნელმა ჯერ „ბარიკადები“ აღმართა და ბოლოს „ბახტრიონში“ გამაგრდა. პირველი კავშირიდანაც ერთმა ჯგუფმა ადგა ციხე-კოშკი, რომლისთვისაც არ ვიცი რატომ, „ილიონი“ უწოდეთ; და ამ ორ სიმაგრეთა შორის ეკვე პირველი შეტაკება მოხდა.

„ილიონში“ თავმოყრილია: კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ნ. თარიშვილი, მარიჯანი, ო. მოსაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ფ. აგლაძე, გარდელი, გრ. ცაბილაძე და ბრუტუსი

ჟურნალი იწყება კ. გამსახურდიას მშვენიერი ლექსით „Maria stella“. ასევეა კარგია მეორე მისი ლექსი, მიძღვნილი ფრ. ნიცშესადმი, რომელმაც პოეტის თქმით გვაგრძნობინა, „რომ ახლოვდება ძველ ღმერთების შემობრუნდება“. ორივე ეს ლექსი ისე კარგებია, რომ მოპირდაპირე ბანაკიდან, სადაც ასე ამოჩემებული ყავთ კ. გამსახურდია, სხვა რომ ვერაფერი სთქვეს, გამოაცხადეს: თემა და ფორმა აღებულია. (ბახტრიონი № 7).

შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის სამი ლექსი. „ჩემი ლოცვა“, „ქალს უყვარეს ბებრ, კეპით და ჯოხით“ და „ილაჯი დისონანსებით“. ამათში პირველი ლექსი „ჩემი ლოცვა“ მართალია „ექსპლოატაციაა პატრიოტიზმის პრიმიტიული ინსტინქტისა“, „ბახტრიონის“ სიტყვები რომ ვიხმაროთ. ეს ლექსი ვერაფერს შემატებს მგოსნის სახელს, თუმცა საგიტაციოთ გამოდგება და ავტორიც ბევრ ტაშს დაიმსახურებს (ამიტომაცაა დაწერილი) ჩვენ დროში, როცა პატრიოტიზმი და ფაქიზი გრძნობა საშობლოს სიყვარულისა ასე სათრეველად გახადეს და გაიფეფ... ბრძოლის ველზერს ვერ აძლევს ლექსს ვერც მისი ბოლო, რომელიც უფრო მოგვაგონებს ნაცარქექიის მეტრას, ან მოლოზონის წყევლას...

დანარჩენი ორი ლექსი კარგებია. და ბახტალარი ტყვილა ეძებს აქ პორნოგრაფიას.

კარგია ნინო თარიშვილის „ტრაური ციხეერ თვალებზე“, რომელშიაც ნაზი გრძნობებითაა გადმოცემული სიყვარული დამწვარი ქალის სევდა და სურვილი:

. . . . . .

„მაგრამ დღეს გულში ასვენია ტრაური ციცი.
დაიმტვრა ცრემლად სიყვარულის ციხეერი მძიეი

. . . . . .

დამილოთ ტუჩზე დამეკეცა, ვით გლოვის ნარმა.
და ეხლა მინდა ქანდაკებად მხოლოდ გადვიქცე.
სფინქსის თვალებში ჩამასვენოს ულინებო ქარმა,
რომ ჩემს გარშემო ალარ იყოს: არც დრო, არც სივრცე“.

მშვენიერია მარიჯანის „ვანჯა“, რომელიც იწყება საუცხოვო სურათით:

წითელ ქლაბიდას რომ მოისხამს ადმოსავლეთი,
ყორანთა ურდო ბაყვეებს ბაღში ჩინარებს. და სხვა...

ი. მოსაშვილი წარმოდგენილია ძალიან მუსიკალური ლექსით „მწვანე ბალდახინი“. ეს ლექსი გვიმტკიცებს ახალ მოვლენილ პოეტის ახალ მოღწეულებს, რაც დიდი იმედების აღმძვრელია.

პირდაპირ შედეგია ს. ფაშალიშვილის „ჩემი გვარის მოხაგონად“. ამ თითქმის ყოველი სტრიქონი სურათია. ერთი მეორეს სჯობია და არ იცი, რომელი ამოსწერო სანიმუშოთ. მთელი ლექსი ნიმუშია და უეჭველად ახასიათებს დიდ პოეტს, გამოსულს პლეიადათა წრიდან, რომელსაც შეუგრძვნია სიმაყე გვარის სიძველისა და არაფერად აგდებს ყმათა სიავეს. მის

„ფიქრებში მძიმედ გროვდებიან დინამიტები,
. . . . . .
სულში ნალმების აფეთქება და ვარ ჯიშია“.

ჟურნალის ბელეტრისტულ ნაწილში მოთავსებულია ორი მინიატურა: ფ. ალლაძის „უცნაური“ და გარდელის „გაზაფხულის ცულუტობა“. ამათში საყურადღებო არაფერია და ვერც არას ვიტყვით გარდა იმისა, რომ პირველის სათაური მეორეს უფრო ვამოადგებოდა...

შემდეგი განყოფილება ჟურნალისა იწყება კ. გამსახურდიას წერილით: „ეოეთე თუ მიხტიკოსი“. ამ კრიტიკულ დახასიათებაში ავტორი ცდილობს გოეთე დაგვიახლოვოს და დაუკავშიროს ის თანამედროვეობას.

საინტერესოა გრ. რცხილაძის კრიტიკული ეტიუდი „აცდენილი ტიპები“, ავტორი სამართლიანად ადნიშნავს, რომ ჩვენი მხატვრული ლიტერატურა გვერდს უხვევს და არ აქანდაკებს, არ გვაძლევს მხატვრულ სურათებს იმ ტიპებისა, რომელსაც იძლევა ჩვენი ცხოვრება. ვერ დავეთანხმებით ავტორს მხოლოდ იმაში, თითქოს ქართველ ერს ოდესმე ყველაფერი დაეტოვებოს ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის: ნაციონალურიც, სოციალურიც და მორალურიც. ეს იქნებოდა სრული გაველურება, ყოველ შემთხვევაში გადასკიმოსება. მაგრამ ასეთ რაიმეს ვერ ვპოულობთ ქართველი ერის ისტორიაში. პირიქით, ქართველ ხალხს უკიდურეს გასაჭირშიაც არდაუკარგავს მაღალი პრინციპები და არას დროს ფიზიოლოგიისათვის არ შეუწირავს იდეოლოგია.

შემდეგ ბრუტუსი ეხება „პოეზიის დღეებს“—ორ გაზეთს, რომელიც ტფილისში გამოვიდა—და ერთგვარი გესლით ახსენებს ახალ მწერალთა კავშირს და მის ხელმძღვანელებს. ეს კიდევ არაფერი. მაგრამ ვერ მოვუფხონებთ „ბახტრიონის“ ბიბლიოგრაფიის ავტორს „ჩვენ“-ს ასეთ ადგილებს:

„ამ გაზეთის (ბახტრიონის) რედაქტორია ერთი ამბიციურიენტი (ხაზი ჩემია. დილ.) გ. ლევანიძე, რომელმაც ყანწელების სტატუტის მიხედვით გვარი ლეონიძედ“ შეიცვალა—და ამით თავი მოიქცა რომაულ პატივით“.

ავტორი ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ახალ მწერალთა კავშირის პატრიოტობას: „ალბად მათ ხშირად ჰონორარი წონასწორობას აკარგვინებსო“. „ბახტრიონის სიმაგრეში თავის შეფარება ვერ დაჰფარავს მათ უნიჭობასა და რენეგატობას. სხვა ციხის აგება დაგვჭირდება მათთვისო“. ეს ამ ადგილებმა გამოიწვია „ბახტრიონის“ გაფთრებული კონტრ-იერიში კიდევ უარესი კილოთი:

„გვარში გამსახურდია ორი სიტყვაა: მსახური და ხურდა. ეს უკანასკნელად ამხელს მის ჭამობას“.

„ერთი ადგილის ტიპიური და დენდი მხოლოდ ილიონის მწერლებს ჰგონიათ სინონიმები“.

მესხარა, პსიხოპატი, ლიტერატურული ქურდი, დიპლომების ფალსიფიკაცია და სხვა ასეთი მარგალიტებით უშენს „ბახტრიონი“ „ილიონს“.

სამწუხაროა ასეთი გამწვავება და დაწვრილმანება ბრძოლისა, მისი პირად შეურაცყოფამდე დაყვანა. ეს მთლად არც ერთ ბანაკს არ მიაკუთვნებს გამარჯვებას და მწერლობას კი საერთოდ ძალიან ავნებს.

გარეგნულად „ილიონი“ ლამაზი გამოცემაა და ღირს 25 ათასი მანეთი.

დილეტანტი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ლია წერილი

ალექსანდრე ახმეტელს.

ერთი კვირის წინად მე გამოგიგზავნეთ სამი კაცი ვალ. გუნია, ბაბაშელი და შალვა დადიანი და თან პირადათ მეც მოგმართეთ ადგილსნათ და გამოგერკვიათ თქვენ თქვენი ოჯახის მიერ გავრცელებული ჭორის და ცილისწამების მიზეზები, ვითომდა ჩემის დამბრალებით თქვენ ყოფილიყავით დაპატიმრებული. სამწუხაროდ თქვენ ჩემ-ბინად მოიმართეთ ვაზეთ „ინებეთ“ - ასეთ ფორმით - პასუხს გაცემაც კი, რისთვისაც „ახლა ეროვნის საწუალებით ერთხელ კიდევ მოგმართავთ და გიწვევთ სამედიატორო საგარო სასამართლოში და ჩემის მხრით ვასახელებ ნაფიც ვექილს პ. ი. ქავთარაძეს და კოწია გამსახურდიას დღიდგან ამ წერილის დასტამბვისა ერთი კვირის განმავლობაში. გთხოვთ თქვენ თქვენის მხრითაც დასახელოთ ორი პირი და ოთხივე მოიწვევენ ერთ თავმჯდომარეს, სრულიად ნეიტრალურ პირს. თუ ჩემს ამ გამოწვევაზედაც არ ინებებთ გამოყოლას, მე უფლებას ვიტოვებ სხვაგვარ მოქმედებისას და მით საზოგადოებას მე თვით ვაუწყებ ჩემს კეთილ სინდისიერებას და უდანაშაულობას თქვენს წინაშე.

საქმე უნდა გაირჩეს თბილისში.

მსახიობი ი. ზარდალიშვილი.

29 აგვისტო 1922 წ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მოიანარი კომიტეტი

ამა წლის აგვისტოს 27-ს უფროოდ გარდაიცვალა ამიერ-კავკას. საძმარ თეატრის სეექსპლოატ. განყ. საგარეო ნაწილის გამგე

ნიკოლოზ ალექსის ძე ჩხეიძე

რასაც აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ გულდათუთქულნი ცოლი ანნა, შვილები: ალიოშა, მარო, თამარი, ნინო, ქეთო და ბაბუცა, დედა ბრილიანტი, ძმები, დები და ბიძაშვილები. გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე ხუთშაბათს, აგვისტოს 31-ს, საკუთარ ბინიდან (რ-კინის გზელთა სახლი № 1, მალაკანის ქ. სადგურთან), დაკრძალვა ფიდუციაში.

საბავშვო დღესასწაული
საბავშვო ქალაქ კოჯორში

საბავშვო სეზონის დასრულების გამო, კოჯორის საბავშვო სახლების ბავშვები 28 აგვისტოს, დილის 11 საათზე, მე-6 საბავშვო ეზოში, ქალაქ კოჯორში მართავენ სამშვიდობო დღესასწაულს.

ბავშვები სთხოვენ ყველა კავშირების, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა წევრებს ბავშვებით დაესწრონ დღესასწაულს.

დღესასწაული ყველასათვის უფასოა.

საბავშვო კოლონიის მმართველობა.

ქ. ტფილისში შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელ კომისიისაგან.

შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის სამაგიერო გადასახადის აკრეფის წესი.

ქ. ტფილისის აღმასკომის ა. წ. ივლისის 24-ის დადგენილების № 6 სისრულეში მოსაყვანად სახლების მეპატრონენი, ან მათ მაგიერი პირები ვალდებულნი არიან შეაგროვონ ყველა მამაკაცთაგან 18-იდან—50 წლისამდე, ე. ი. 1872 წლიდან 1904 წლამდე დაბადებულთაგან ფულის ნაცვლად შრომისა და ტვირთზიდვის ხარკისა იმ რაოდენობით, რომელიც ნაჩვენებია საველდებულო დადგენილების § 1-ის ა—მუხლში და ჩაბარონ შეგროვილი თანხა საათანადო სამილიციო უბნის სამისაბართო მაგიდას შემდეგი წესის მიხედვით:

1. **სახლების მეპატრონენი ან მათ მაგიერი პირები** სამი დღის ვადაში დღიდან ამა განმარტების გამოცხადებისა ვალდებულნი არიან ამოწერონ სახლის წიგნებიდან და შეადგინონ სია 18 დან—50 წლიან მამაკაცებისა ქვემორე მოყვანილი წესით:

ა) სიაში **უნდა** აღნიშნოს გვარი, სახელი და ხნოვანობა იმ პირთა, ვინც ექვემდებარება შრომისა და ტვირთზიდვის ხარკს;

ბ) გვარის პირდაპირ სათითოოდ **უნდა** აღინიშნოს თავისუფალია გადასახადისაგან, თუ არა, თუ თავისუფალია, **უნდა** ჩაიწეროს აგრეედვე № საგანგებო მოწმობისა შრომისა და ტვირთზიდვის ხარკისაგან განთავისუფლების შესახებ;

გ) ეუჩის სახელი და სახლის №;

დ) სახლის პატრონის ხელის მოწერა.

2. სახლების მეპატრონენი ან მათ მაგიერი პირები **აუწყებენ ხელწერილის ქვეშ, რომ მათ აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ოთხი დღის განმავლობაში** დღიდან უწყებისა პირადობის მოწმობა და დადგენილი თანხა ფულისა ნაცვლად შრომისა და ტვირთზიდვის ხარკისა სათანადო სამისაბართო მაგიდაში შესატანად.

3. იმ მოქალაქეთაგან, რომელნიც ექვემდებარებიან შრომისა და ტვირთზიდვის ხარკს, მაგრამ **უფლება აქვთ** განთავისუფლებულ იქნენ მისგან თანახმად საველდებულო დადგენილების № 6, § 2-სა, რომელნიც არიან: **წევრნი პროფკავშირებისა, მასწავლებლები** და **მოხწავლენი ყველა სახწავლებელთა** (მაღალის და სხვა) **წითელ არმიელნი, სამხედრო მოხამსახურენი, მილიციის თანამშრომელნი, შრომის ინვალიდები, უმუშევარნი, სამხედრო ინვალიდები** და **ექსტერიტორიალური უფლებებით აღჭურვილი პირები**, სახლის პატრონი მოითხოვს მანც იმავე დოკუმენტებს, რომელიც ჩამოთვლილია ამ განმარტების 2 მუხლში, მაგრამ დაწესებული ფულით გადასახადის მაგიერ **უნდა** მოსთხოვოს საგანგებო მოწმობა მისგან განთავისუფლებისა, მიცემული კომისიისაგან.

თუ ენკენისთვის პირველისათვის არ იქნა წარმოდგენილი მოწმობა გადასახადისაგან განთავისუფლებისა, იმ შემთხვევაში **უნდა** გადახდეს დაწესებული თანხა იმ პირებისაც ვინც ექვემდებარება განთავისუფლებას.

4—**ოჯახის წევრნი მამრობითი სქესისა** (ძმა, შვილი, მამა და სხვები), რომელნიც სცხოვრობენ შრომის მეგრძისაგან განთავისუფლებული პირის ხარჯზედ, არ თავისუფლდებიან და **უნდა** მოიხადონ შრომის მეგარა საერთო წესით.

ნ—სპეციალური მოწმობა შრომისა და ტვირთზიდვის ხარჯისაგან განთავისუფლების შესახებ სულ არ **უნდა** მოეთხოვოს:

ა) მამრობითი სქესის პირებს, **დაბადებულებს** 1872 წლამდი და 1904 წლის შემდეგ, მაგრამ ამათ **უნდა** წარუდგინონ სახლის პატრონს მეტრიკა.

ბ) საშუალო და დაბალ სკოლების მოსწავლეებს, **დაბადებულებს** 1904 წლამდე. ესენი წარადგენენ მხოლოდ მოწმობებს თავიანთ სასწავლებლიდან, გაცემულს 1922 წელს, რაც საკმარისი **დოკუმენტია** შრომის ბეგრისაგან გასათავისუფლებლად;

გ) წითელ-არმიელებს, რომელნიც სამხედრო სამსახურში არიან **და** წარადგენენ ამის მოწმობას, გაცემულს 1922 წლის 1 ივნისიდან.

შენიშვნა: წითელ-არმიელებს არ ეკუთვნიან ის სამხედრო მოსამსახურენი **და** მილიციონერები, **რომელთაც** უნდა ჰქონდეთ **სპეციალური** მოწმობა განთავისუფლების შესახებ.

6—**შეკრებილი თანხა სახლში** მცხოვრებ **მამაკაცთა** ხით, ყველა **დოკუმენტები** და **სახლის** წიგნი **სახლის** პატრონებმა ან **მათ** **მაგიერმა** **პირებმა** **უნდა** **წარადგინონ** **მხოლოდ** **თავის** **სამელიცონო** **რაიონში**, **შეგროვილი** **ფულის** **შესატანად** **და** **ადასანიშნავად** **როგორც** **სახლის** **წიგნში**, **ისე**, **მობინადრეთა** **დოკუმენტებში**.

შენიშვნა: 1) ვინაც **შრომისა** **და** **ტვირთზიდვის** **ხარჯს** **გადაიხდის**, **მათ** **პირადობის** **მოწმობაზედ** **უნდა** **დაეკრას** **გადახდილი** **თანხის** **შესაფერი** **მარკა**.

2) **განთავისუფლებულ** **მოქალაქეთა** **მოწმობებზედ** **დაისმება** **შესაფერი** **ბეჭედი**.

7—**ახალ** **მოსულის** **ჩაწერის** **დროს**, **დროებით** **მოსულის** **ან** **მიმავალი** **მცხოვრების** **ჩაწერა-ამოწერის** **დროს**, **სახლის** **პატრონი** **ვალდებულია** **მოსთხოვოს** **ასეთებს** **ფულის** **გადასახადი** **შრომისა** **და** **ტვირთზიდვის** **ხარჯის** **სამაგიერო** **და** **თუ** **უარი** **მიიღო** **დაუყონებლივ** **უნდა** **აცნობოს** **კონტროლს** **სასწრაფო** **ზომების** **მისაღებად**, **რომ** **გადაახდევინონ** **ადმინისტრაციის** **ორგანოთა** **საშუალებით**.

8—**როგორც** **ახალ** **მოსულთა**, **ისე** **დროებით** **მოსულ** **ან** **მიმავალთა** **შესახებ** **უნდა** **დაცულ** **იქნას** **ამა** **განმარტების** **2** **და** **4** **პუნქტებში** **ნაჩვენები** **პირობები**.

9—**დროებით** **მოსულ** **და** **მიმავალ** **პირთა** **გასათავისუფლებლად** **ფულის** **გადასახადისაგან** **ნაცვლად** **შრომის** **ბეგარისა**, **უნდა** **დაცულ** **იქნეს** **პირობები**, **ნაჩვენები** **ამა** **განცხადების** **375** **პუნქტებში**, **ან** **წარმოდგენილ** **იქნეს** **მათ** **მიერ** **მოწმობა**, **მარკა** **ან** **წარწერა** **განთავისუფლების** **შესახებ**, **რომელიც** **მიცემული**, **საქართველოს** **სხვა** **და** **სხვა** **ადგილებში**.

10—**სახლის** **წიგნის** **რეგისტრაციისა** **და** **ფულების** **შეტანის** **შემდეგ** **სახლის** **პატრონი** **უბრუნებს** **მცხოვრებთ** **დოკუმენტებს** **წარწერითა** **შრომის** **ბეგრის** **გადახდისა** **ან** **განთავისუფლების** **შესახებ**.

11—**სავალდებულო** **დადგენილების** **№** **6** **ს** **მე-§** **5** **ის** **თანახმად** **სახლის** **პატრონები** **ან** **მათ** **მაგიერი** **პირები** **ამ** **განმარტებათა** **შეუხრუნებლობისათვის** **პასუხისგებაში** **იქნებიან** **მიცემულნი** **და** **გადაიხადონ** **ჯარიმის** **სახით** **ხამ** **მილიონ** **მანეთს** **ყოველ** **პირზედ**, **რომელსაც** **არ** **წარადგენს** **ფულის** **გადასახადელად**.

შენიშვნა: აღნიშნული ჯარიმა დაედება აგრეედვე იმ მოქალაქეებს, რომელნიც **დანიშნულ** **დროს** **არ** **გადაიხადონ** **შრომის** **ბეგარის** **ნაცვლად** **ხარკს**.

ქ. ტფილისში შრომისა და ტვირთზიდვის **ხარჯის** **გამტარებელი** **კომისიის**

თავმჯდომარე **დ. თაქთაქიშვილი.**

პასუხისმგ. მდივანი **წევრი** **კომისიისა** **ა. რუხაძე.**

2—2